ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომა N 06

11.18.2025 წ.

დ. ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების

და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომა N 05

11.18.2025 წ.

დასწრების ფურცელი :

1. კომისიის თავ-რე: /მევლუდ ლიპარტელიანი/
2. კომისიის წევრი: /ხუტა მუკბანიანი/
3. კომისიის წევრი: /ირაკლი ქურასბედიანი/
4. კომისიის წევრი: / მურმან ტვილდიანი/
5. კომისიის წევრი: / სოსო ავალიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების

კომისიის თავმჯდომარე: /მ. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომა N 06

11.18.2025 წ.

დღის წესრიგი

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან პირველ ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხ. დ.ლიპარტელიანი/

2. ინფრასტრუქტურის კომისიის წლიური სამუშაო გეგმის დამტკიცება.

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხ. მ. ლიპარტელიანი/

4. სხვადასხვა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების

კომისიის სხდომის თავ-რე : /მ. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა

ოქმი N 06

11.18.2025 წ.

მ/წ 18 ნოემბერს, დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტუქტურის კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: მევლუდ ლიპარტელიანი - კომისიის თავმჯდომარე; ხუტა მუკბანიანი - კომისიის წევრი; ირაკლი ქურასბედიანი - კომისიის წევრი; მურმან ტვილდიანი - კომისიის წევრი; სოსო ავალიანი - კომისიის წევრი; ამირან ლიპარტელიანი - მოწვეული სპეციალისტი; საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ ლიპარტელიანი; ქონების მართვის და ბუნებრივ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დათო ფურელიანი; საკრებულს თავმჯდომარის მოადგილე მარეხ ონიანი; საკრებულოს აპარატის მთ. სპეციალისტი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში მთვარისა ლიპარტელიანი; სხდომის მდივანი ნანი ბენდელიანი.

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომას გააცნო დღის წესრიგი შემდეგი **საკითხებით:**

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის პირველი იანვრიდა პირველ ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

   /მომხ. დ.ლიპარტელიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის მოსმენა-დამტკიცების შესახებ.

   /მომხ. მ.ლიპარტელიანი/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხ. მ. ლიპარტელიანი/

4. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლმა დემურ ლიპარტელიანმა სხდომაზე წარმოადგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში - მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან პირველ ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა დეტალურად, კვარტლურად გააცნო სხდომას განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტების ნუსხა.

იფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მ/წ 10 თვის განმავლობაში გაცემულია 15 ნებართვა მშენებლობაზე.

(დანართის 2 ოქმს თან ერთვის). საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტის N 516 განკარგულების შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის

მუნიციპალიტეტისთვის რეგ, განვითარების ფონდიდან გამოიყო 4 283 350 (ოთხი მილიონ ორას ოთხმოცდა სამიათას სამას ორმოცდაათი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025წ. 24 ივლისის N-1174 განკარგულების შესაბამისად შეიცვალა დასაფინანსებელი პროექტების ჩამონათვალი და გამოიყო 4222123 ლ. (იხ. განკარგულება). ასევე წარმოდგენილია სატენდეროდ გადაცემული პროექტები. იხ. დანართი 3.

საქართველოს მთავრობის 2025 წ. 19 ივნისი N-1004 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოეყო 439 000 (ოთხას ოცდაცხრა-მეტი ათასი) ლარი. იხ. დანართი 4.

ადგილობრივი ბუჯეტიდან დაფინანსდა 222439 ლარის პროექტი. იხ. დანართი 5

საქართველოს მთავრობის 2025 წ. 16 იანვარი N-53 განკარგულებით ლენტეხის

მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 604000 (ექვსას ოთხიათასი) ლარი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონებული ნუსხის შესაბამისად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ სამუშაოებზე სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მოამზადა ლენტეხის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა, სამოცი სოფლიდან, ამ ეტაპზე 56 სოფლის პროგრამაზეა გაფორმებული ხელშეკრულება. ჩვენს უწყებაში შემოსულ 1412 წერილზე, კორესპოდენციაზე და განცხადებაზე - ყველაზე გაცემულია პასუხები.

გამოითქვა შენიშვნები; ყველა ადგილობრივი პროექტი განიხილოს და მოისმინოს ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის კომისიამ,(ასეთის არსებობის შემთხვევაში), განხილვაში და მოსმენაში ჩართონ მაჟორიტარი დეპუტატები, კომისიები, მერია, საკრებულო.

სოსო ავალიანმა განაცხადა, რომ ზოგიერთი პროექტი შედგენილია ისეთი დამპროექტებლის მიერ, რომელსაც შეხება არ აქვს ადგილობრივ ლანდშაფტთან და გარემოსთან, გათვალისწინებული არ არის ადგილობრივი სირთულეები, ამის გამო ჭირს ზოგიერთი სამუშაოს შესრულება. მურმან ტვილდიანმა აღნიშნა, რომ წყლების გასაკეთებელ პროექტები გაფასებულია ძველი ტარიფით, ანუ ძალიან დაბალი ფასებით, ამიტომ ჭირს მუშახელი და არის ძალიან დიდი ხარჯი, პროექტი წამგებიანია. ასევე არ უნდა ხდებოდეს პროექტის ერთპირზე მორგება.

კომისიის თავმჯდომარემ მ. ლიპარტელიანმა წამოაყენა წინადადება, რომ თითოეული პროექტის განხილვაში უნდა ჩაერთონ რწმუნებილები, კომისიის წევრები, მერია, საკრებულო, მოსახლეობა - ყველა ერთად.

მოწვეულმა სპეციალისტმა ამირან ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ აუცილებელია დაპროექტების პროცესში გათვალისწინებული იყოს მოსახლეობის აზრი.

დ. ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ყველა შესასრულებელი პროექტი საკებულოს მიერ არის მოწონებული.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ხ. მუკბანიანმა დემურ ლიპარტელიანს დაუსვა კითხვა, რომ საიდან ღებულობენ დამატებით პროექტებზე თანხმობას; ბატონ დ. ლიპარტელიანმა უპასუხა, რომ ყველა პრიორიტეტების ჩამონათვალს

არის პროექტები, რომლის შესრულებაში მონაწილეობას არავინ აღებულობს. კონკრეტულად - რაიცენტრში საწრეტი არხის მოწყობა; გვაქვს ზოგიერთი პროექტი რომლის დაფინანსება ჯერ არ მოსულა, პროექტი მზად არის დაფინანსება ჯერ არ არის, კერძოდ ტვიბში გზის დამცავის მოწყობა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ხ. მუკბანიანმა დაუსვა კითხვა მომხსენებელს თუ როგორ ხდება ნებართვების გაცემა, რაზეც დემურ ლიპარტელიანმა უპასუხა, რომ ნებართვა გაიცემა ორ ეტაპად, პირველი მიწაზე, მეორე მშენებლობაზე.

საკრებულოს სოც. კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი ცირა ლიპარტელიანი შემოვიდა წინადადებით - რაიონში გაკეთდეს წყალარინების სისტემა, რაც დაიცავს ჰაერს დაბინძურებისაგან . რაიონის კანალიზაცია ოთხ ადგილზე ღია ნიადაგზე მიედინება, ეს იწვევს აორთქლებას და ჰაერის დაბინძურებას, ამიტომ აუცილებელია სასწრაფოდ წყალარინების სისტემის მოწყობა, რაც არც ისე ბევრ თანხას მოითხოვს.

გადაწყვიტეს : 1. საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან პირველ ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ გასახილველად გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა წარედგინოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
თავმჯდომარე: /მ.ლიპარტელიანი/